



სტუდენტის გზამკვლევი

2018

სარჩევი

ჩვენს შესახებ..... 3

მისია 4

რეგულაციები..... 5

როგორ ვიქირაოთ ბინა თბილისში 5

სატრანსპორტო მომსახურება (ავტობუსები, გადახდის სისტემა, ტაქსი...) 5

ინფორმაცია ბანკებზე..... 5

სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები 6

საკრედიტო სისტემა 9

სტუდენტის შეფასების სიტემა..... 9

საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების წესი და პირობები..... 12

სადიპლომო ნაშრომის დაცვის და მისი აღდგენა/გასაჩივრების პროცედურა 14

საგნიდან ამოწერისა და სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომის გადატანის წესები 15

პლაგიატი 16

სტუდენტთა სტიმულირების, ასევე სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, სტიპენდიებისა და ფასდაკლებების განსაზღვრის წესი..... 19

სტუდენტური ელექტრონული ბაზის გამოყენების წესები/ინსტრუქცია 22

სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი..... 23

ბიბლიოთეკა..... 25

კალენდარი..... 29

საბანკო ანგარიში..... 32

კონტაქტი 32

ჩვენს შესახებ

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი 1994 წელს დაარსდა. 90-იანი წლებისათვის GIPA იყო ერთ-ერთი პირველი დასავლური ინოვაციური პროექტი, რომელიც ერთი სამაგისტრო პროგრამით დაიწყო. ამ მოვლენას წინ უძღოდა აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს, შემდგომში აშშ-ს დეპარტამენტთან არსებული განათლებისა და კულტურულ საქმეთა ბიუროს, საქართველოს მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის, NAPA-ს შეთანხმება, საქართველოში ერთობლივი პროექტის განხორციელების თაობაზე სახელწოდებით: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. დაარსების დღიდან, GIPA-ს მთავარ მიზანს განათლების სფეროში ახალი დარგის, საჯარო მმართველობის და პოლიტიკის განვითარება წარმოადგენდა. შესაბამისად, საწყის ეტაპზე, პროექტის მთავარი ამოცანა წელიწადში 30 კურსდამთავრებულისათვის მაგისტრის წოდების მინიჭება გახლდათ. პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა ამერიკის საინფორმაციო სააგენტო, ადგილობრივი მთავრობა, ბუდაპეშტის საჯარო სამსახური და ევრაზიის ფონდი ვაშინგტონში. ინტიტუტის დირექტორის მოადგილის მოვალეობას, ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს, "Fulbright"-ის პროგრამის წარმომადგენლობა ასრულებდა.

შვიდ წლიანი თანამშრომლობის შემდეგ, 2000 წელს, NAPA-ს დახმარებით GIPA-მ მოლაპარაკებები დაიწყო აშშ-ს საზოგადოებრივ საქმეთა და სახელმწიფო მმართველობის სკოლების ეროვნულ ასოციაციასთან (National Association of Schools of Public Affairs and Administration, NASPAA), რაც გრძელვადიანი თანამშრომლობისა და მომავალი წარმატების საწინდარი გახდა.

პროექტის საწყის ეტაპზე, ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორებისგან დაკომპლექტდა. NAPA-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, ისინი სამაგისტრო პროგრამას სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფდნენ, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების საშუალებით ქართველ ლექტორებს ცოდნას და გამოცდილებას უზიარებდნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ ინსტიტუტის მართვაში. ეტაპობრივად ამერიკელი აკადემიური პერსონალი მაღალკვალიფიციური ქართველი ლექტორებით ჩანაცვლდა, რომლებსაც გააჩნდათ დასავლური ცოდნა და ფლობდნენ თანამედროვე სწავლების მეთოდების უნარებს ფლობდნენ.

ორ ათეულ წელზე მეტია, ინტერაქტიული სასწავლო პროგრამების, ტრენინგების და კონსულტაციების საშუალებით უნივერსიტეტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო მმართველობის სფეროს

განვითარებაზე, როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ამასთან ერთად, ინსტიტუტს დიდი წვლილი მიუძღვის დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბებაში.

GIPA - არის უნივერსიტეტი, რომლის ირგვლივ იკრიბებიან წარმატებული ადამიანები ბიზნესის, მედიის, სამართლის, სამოქალაქო საზოგადოების თუ საჯარო სამსახურის სფეროებიდან, რომლებიც სტუდენტებს მუდმივად უზიარებენ ცოდნას და გამოცდილებას.

დღეს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ოთხი სკოლა ([მმართველობის სკოლა](#), [სოციალურ მეცნიერებათა სკოლა](#), [სამართლისა და პოლიტიკის სკოლა](#) და [ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა](#)) დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, სხვადასხვა ტრენინგ კურსებს და კონსულტაციებს. უნივერსიტეტის პროგრამების სასწავლო კურიკულუმი ეფუძნება დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ღირებულებებს, ეყრდნობა კვლევისა და ინტერაქტიული სწავლების პრინციპებს, სტუდენტებს აძლევს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს არაერთ ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტთან.

დღესდღეობით GIPA 3000-მდე კურსდამთავრებულს ითვლის, რომელთა 90% წარმატებით საქმიანობს საჯარო და ბიზნეს სექტორში, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგ კურსების პარალელურად, GIPA წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, მართავს პირველ ინგლისურენოვან სტუდენტურ რადიოს საქართველოში, რომელიც მაუწყებლობს სიხშირეზე FM 94.3 (RADIO GIPA), აგრეთვე, პერიოდულად მასპინძლობს შეხვედრებს და მართავს დებატებს აქტუალურ საკითხებზე კლუბში „ფრონტლაინ ჯორჯია“.

GIPA წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ შეიძლება საერთაშორისო გრანტის მიმღები პატარა ორგანიზაცია გადაიქცეს მდგრად, განვითარებაზე ორიენტირებულ წარმატებულ ინსტიტუტად, რომელიც არსებობის განმავლობაში მაღალი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტის სახელს ატარებს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

როგორც ამერიკის ელჩმა, იან კელიმ აღნიშნა: “GIPA არის ყველაზე წარმატებული ინვესტიცია, რაც კი ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში განუხორციელებია”.

მისია

GIPA ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს წარმატებული თანამშრომლობის გამორჩეული მაგალითია. ჩვენი პირდაპირი დანიშნულებაა, დამოუკიდებელი საქართველოსთვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ლიდერების აღზრდა. ამ მისიის შესასრულებლად, GIPA ქმნის და სტუდენტებს გადასცემს ახალ ცოდნას დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებებისა და თავისუფლების იდეალების დასამკვიდრებლად. მონოღებულნი ვართ, მოწინავე როლი სწავლებაში გავაძლიეროთ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კვლევითი საქმიანობით და აკადემიური და პროფესიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებში

დანერგვით, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში დემოკრატიისა და თავისუფლების იდეების გაძლიერებაში.

რეგულაციები

- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წესდება](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ინსტრუქცია პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2017-2018 წლის ბიუჯეტი](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2014-2015 წლის საქმიანობის ანგარიში](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2015-2016 წლის საქმიანობის ანგარიში](#)
- [საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი](#)

როგორ ვიქირაოთ ბინა თბილისში

<https://place.ge/>

<https://www.myhome.ge/ka/>

<https://gancxadebebi.ge>

სატრანსპორტო მომსახურება (ავტობუსები, გადახდის სისტემა, ტაქსი...)

http://ttc.com.ge/?lang_id=GEO&sec_id=1

http://tbilisiguide.ge/wg/transport.php?cat=public_transport

ინფორმაცია ბანკებზე

<http://tbcbank.ge/en/private>

<http://bankofgeorgia.ge/en/home>

<http://procreditbank.ge/index.php?lang=ENG>

<http://republic.ge>

სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- აკადემიურ შევებულებაში გასვლა;
- ჯანმრთელობის, ოჯახური და სამსახურეობრივი მდგომარეობა;
- უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
- სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
- პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.
- სტუდენტი უფლებამოსილია აიღოს აკადემიური შევებულება სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზნით (გარდა 5.1.5 პუნქტისა) სტუდენტი წარადგენს წერილობით განცხადებას (მიზეზის მითითებით) სკოლის დეკანის სახელზე. სკოლის აკადემიური საბჭო სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან/აღდგენასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად. სტუდენტის სტატუსის ცვლილება ფიქსირდება შესაბამის რეესტრში.
- სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს მხოლოდ სწავლების პროგრამით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, რომლის შემდეგაც სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეცვლილი გარემოებები, მათ შორის უნივერსიტეტის სწავლის საფასური, შეჩერებული სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს ახალი ხელშეკრულების/არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების საფუძველზე იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
- იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე, გაუქმებულია ან შეცვლილია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ან/და პროგრამის მიზანი მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი

უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება.
- დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა, მათ შორის „უნივერსიტეტში კრედიტების დაგროვების, სტუდენტთა ცოდნის შეფასების, გამოცდების ჩატარების, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის წესების“ გათვალისწინებით;
- უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების უხეში და სისტემატური დარღვევა;
- უნივერსიტეტის რეპუტაციასა და მის კანონიერ ინტერესებისთვის ზიანის მიყენება;
- საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ ამა თუ იმ პროგრამაზე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში 3 (სამი) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება;
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის მიერ ამა თუ იმ პროგრამაზე 3 (სამი) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება;
- სადოქტორო პროგრამის სტუდენტის მიერ სასწავლო კომპონენტში 2 (ორი) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება;
- პირადი განცხადება.
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხს განიხილავს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, რომელიც შესაბამის წინადადებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რაც წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლის საფუძველს. აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებებისგან.
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, რა ვადაშიც სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და პირი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტუდენტის მობილობის წესი

- სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად.



- უნივერსიტეტი ითვებს უფლებას, დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს შიდა გამოცდის, დოკუმენტაციის განხილვის ან გასაუბრების წარმატებით გადალახვას.
- უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი, უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის სტუდენტის მობილობის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- მობილობის განხორციელება შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტში არსებულ მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით.
- მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
- მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის მე-7.5 პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება
- ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

სტუდენტის შიდა მობილობა

- უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოაცხადოს შიდა მობილობა სასწავლო სემესტრის დაწყებამდე რექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.
- მობილობის მსურველი სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასრულებული აქვს სასწავლო კურსის პირველი სემესტრი და აკმაყოფილებს მიმდები პროგრამის შესაბამის მოთხოვნებს.
- სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს უნივერსიტეტის ცალკეული სკოლის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა სკოლის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა პირადი სურვილის ან პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. აღნიშნული მიზნით, სტუდენტი მიმართავს განცხადებით იმ სკოლის დეკანს, რომლის საგანმანათლებლო პროგრამაზეც სურს გადასვლა და წარადგენს ყველა საჭირო ინფორმაციას.
- შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, დეკანის წარდგინებით, განიხილავს სტუდენტის მიერ შესწავლილ/გავლილ საგანმანათლებლო პროგრამასა და მოპოვებულ კრედიტებს, განსაზღვრავს მათ შესაბამისობას ახალი პროგრამის საგნებთან და კრედიტებთან და საჭიროების შემთხვევაში, ადგენს სტუდენტის მიერ ჩასაბარებელი განსხვავებული საგნების ჩამონათვალს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობის თაობაზე.

საკრედიტო სისტემა

- დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.
- კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით.
- სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.
- კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.
- უნივერსიტეტში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

სტუდენტის შეფასების სიტემა

- სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
- შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.
- დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
- შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.
- შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
- შეფასების შუალედურ და დასკვნით ფორმებში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
- აკადემიური და მონვეული პერსონალი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინდივიდუალურად 20%-იდან 50%-ის ფარგლებში.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
- დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) თრიალი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – შეფასების 51-60 ქულა.

1.10.2 ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (Fx) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ბაკალავრთა და მაგისტრანტთა შეფასების სისტემა

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება განხორციელდეს მე-3 მუხლის 3.10 ქვეპუნქტით განსაზღვრული სისტემით.

- ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის მე-3 მუხლის 3.10.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო წლების განმავლობაში, ხოლო მე-3 მუხლის 3.10.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

დოქტორანტთა შეფასების სისტემა

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები უნდა შეფასდეს ამ მუხლით გათვალისწინებული სისტემით.
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემას წარმოადგენს:
 - ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
 - ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
 - დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
 - არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
 - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
- ამ მუხლის 5.2.6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მომდევნო წლების განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო 5.2.7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე (გადაუმუშავებელი) სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA)

- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება.
- სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე.
- საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების წესი და პირობები
გამოცდაზე შეფასების პრინციპები

- სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
- დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.
- სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისება (რომელშიც შედის შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა) უნდა შეფასდეს 100-ქულიანი სისტემით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- დასკვნითი გამოცდის შეფასება არ აღემატება მთლიანი შეფასების 40%-ს.

გამოცდის სახეები

- ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახის ზეპირი ან წერიითი გამოცდები:
- წერიითი გამოცდა აუდიტორიაში, რომელის დროსაც სტუდენტს ეკრძალება ნებისმიერი დამატებითი მასალის გამოყენება და რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 საათს;
- წერიითი გამოცდა აუდიტორიაში, რომლის დროსაც ლექტორის მითითებით, სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს დამხმარე მასალა და რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 საათს;
- ზეპირი გამოცდა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის ზეპირი გამოკითხვა;
- გამოცდა, რომელიც ატარებს საშინაო დავალების ხასიათს;
- ესსე - გამოცდა, რომლის დასაწერადაც სტუდენტს ეძლევა განსაზღვრული ვადა ლექტორის გადანყვეტილების შესაბამისად;
- ტესტირება - ე. წ. შეკითხვები მრავლობითი პასუხების არჩევანით.
- კომპიუტერული სიმულაციები;
- კომბინირებული გამოცდები და სხვა.

გამოცდის/გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა

- უნივერსიტეტში გამოცდა/გამოცდები ტარდება „აკადემიური კალენდრით“ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
- გამოცდის/გამოცდების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური და მონვეული პერსონალი ვალდებულია გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასთან შეათანხმოს გამოცდის ჩატარების ადგილი და საჭირო ტექნიკური საშუალებები.
- საგამოცდო დავალებების გამრავლებასა და გამოცდისთვის მომზადებას უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი.

გამოცდის/გამოცდების მიმდინარეობა

- გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი საგნის ლექტორი ან/და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.
- წერიითი გამოცდის დაწყების და დასრულების დრო, წინასწარ არის განსაზღვრული, რომლის ამონურვის შემდეგ, უკლებლივ ყველა სტუდენტი აბარებს ნაწერს ლექტორს. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის საგამოცდო ნაშრომი აღარ მიიღება და მას კონკრეტულ გამოცდაში გაუფორმდება 0 ქულა.
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ გამოცდაზე 20 წუთზე მეტი დროით დაგვიანება, რის შედეგად სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე. დაშვებულ ფარგლებში დაგვიანების შემთხვევაში, სტუდენტს არ გაუგრძელდება გამოცდისათვის დადგენილი დრო.
- გამოცდაზე კატეგორიულად იკრძალება გადაწერა ნებისმიერი მასალის გამოყენებით (თუ ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული ამ მასალის გამოყენება) ან გადაწერაში დახმარება. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება 0 ქულა.
- გამოცდის მსვლელობისას დაუშვებელია საუბარი, გადალაპარაკება, აუდიტორიის უნებართვოდ დატოვება, ყველა სტუდენტი ვალდებულია გამორთოს მობილური ტელეფონი და დატოვოს მობილური ლექტორის მითითებულ, გამოყოფილ ადგილზე. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დატოვოს გამოცდა, რის საფუძველზე მას გაუფორმდება 0 ქულა.
- სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს ლექტორის გადაწყვეტილებას მისი გამოცდიდან მოხსნის თაობაზე.
- ლექტორი ვალდებულია გამოცდის დაწყებამდე სტუდენტებს აცნობოს გამოცდის მიმდინარეობის პროცედურები და პროცედურების დარღვევის შემთხვევაში მათზე რეაგირების მექანიზმები.
- ლექტორი ვალდებულია გამოცდა შეაფასოს გამოცდის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

გამოცდის აღდგენის პროცედურა



- დაუშვებელია გამოცდის გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. თუ გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზი არ წარმოიშვა უშუალოდ გამოცდის დაწყების წინ, სტუდენტი ვალდებულია, საპატიო მიზეზის თაობაზე წარმოდგინოს შესაბამისი ცნობა. თუ გამოცდის გაცდენის მიზეზი ჩაითვლება საპატიოდ, სტუდენტს ლექტორთან შეთანხმებით, დამატებით ენიშნება გამოცდა. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის გაცდენა არასაპატიო მიზეზით მოხდა, სტუდენტს გამოცდაში გაუფორმდება 0 ქულა. ადმინისტრაცია უფლებამოსილია, გამოცდის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, არ დაუნიშნოს სტუდენტს დამატებითი გამოცდა.
- თუ გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზი წარმოიშვა უშუალოდ გამოცდის დაწყების წინ სტუდენტი ვალდებულია, გამოცდის გაცდენიდან არა უგვიანეს 1 კვირისა აცნობოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს გაცდენის მიზეზი და წარმოდგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა მოხდეს განხილვა გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ.
- სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, გამოცდის გაცდენის საპატიოდ ჩათვლისა და გამოცდის აღდგენის თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი საგნის ლექტორთან შეთანხმებით.
- საპატიო მიზეზით გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დამატებითი გამოცდა ჩააბაროს სკოლის ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ საგამოცდო კვირაში.
- დაუშვებელია გამოცდის გაცდენა ორჯერ, გაცდენის მიზეზის მიუხედავად. ამ შემთხვევაში სტუდენტს გაუფორმდება 0 ქულა.

შეფასების შედეგების გასაჩივრება

- ლექტორი ვალდებულია გამოცდის შედეგები სტუდენტს გააცნოს გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
- გამოცდის შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო ნაშრომის შეფასება, უნივერსიტეტის საერთო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით.
- საჩივრის განხილვის მიზნით სკოლის დეკანი განსაზღვრავს იმ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ვალდებულია 2 კვირის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს სტუდენტის ნაშრომი ან, ზეპირი გამოცდის შემთხვევაში ჩაატაროს განმეორებითი გამოცდა.
- სხვა დამოუკიდებელ ექსპერტს ან ლექტორს უფლება აქვს უცვლელად დატოვოს იგივე შეფასება, ან დაწეროს უფრო მაღალი ან დაბალი ქულა. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
- ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტის ნაშრომი, რომელიც ექვემდებარება შეფასებას, ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, შეინახოს ნაშრომის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე.

სადიპლომო ნაშრომის დაცვის და მისი აღდგენა/გასაჩივრების პროცედურა

- სტუდენტს უფლება აქვს გადაიტანოს სადიპლომო ნაშრომი და მისი დაცვა მომდევნო სასწავლო წლებისათვის, რისთვისაც მან წერილობითი ფორმით უნდა მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას. სტუდენტი ვალდებულია სადიპლომო ნაშრომის დაცვის თარიღამდე არა უგვიანეს 1 კვირისა გადაიხადოს ამავე წესების მე-6 თავით დადგენილი საფასური.
- საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტის მოთხოვნისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სადიპლომო ნაშრომის ახალი თარიღის დაწესება.
- სადიპლომო ნაშრომის დაცვის ახალ თარიღს აწესებს შესაბამისი სკოლის ადმინისტრაცია.
- სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს სადიპლომო ნაშრომის შეფასება, შეფასების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში სკოლის დეკანთან წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით.
- შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში სკოლის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრავენ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, დამატებით რეცენზენტის სახით, რომელსაც ეგზავნება ნაშრომი დამატებითი შეფასებისათვის.
- დამატებით რეცენზენტს უფლება აქვს უცვლელად დატოვოს იგივე შეფასება, ან დაწეროს უფრო მაღალი ან დაბალი ქულა.
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ დაეთანხმება დამატებითი რეცენზენტის ქულას და საბოლოო შეფასებას, სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართოს სკოლის აკადემიურ საბჭოს. სტუდენტი ვალდებულია განცხადებაში ზუსტად ასახოს და დაასაბუთოს, რა საფუძვლების გამო არ ეთანხმება სადიპლომო ნაშრომის შეფასებას.
- სკოლის აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი რეცენზენტი, რომლის შეფასების საფუძველზე მიღებული სადიპლომო ნაშრომის შეფასება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საგნიდან ამონერისა და სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომის გადატანის წესები

საგნიდან ამონერა გულისხმობს სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნის გადატანას მომდევნო სემესტრ(ებ)ში, ამ წესის დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

- ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს უფლება აქვს განახორციელოს არაუმეტეს 2 საგნიდან (ძირითადი და არჩევითი საგნები) ამონერა. ამ შემთხვევაში სტუდენტს არ გაუფორმდება შეფასება აღნიშნულ საგანში და მიეცემა შესაძლებლობა საგანი გაიაროს მომდევნო სემესტრების განმავლობაში დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე.
- საგნიდან ამონერის უფლება სტუდენტს აქვს მხოლოდ სწავლის დაწყებიდან პირველი 4 შეხვედრის/ლექციის განმავლობაში, რა შემთხვევაშიც სტუდენტი თავისუფლდება მომავალში აღნიშნული საგნის საფასურის განმეორებით გადახდისაგან, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საგნიდან ამონერა დაუშვებელია.
- საგნიდან ამონერის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება დაემატოს სასწავლო სემესტრი/ები.

- საგნიდან ამონერა ხორციელდება სკოლის ხელმძღვანელობასთან (დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი) წინასწარი კონსულტაციის შემდეგ, მათი თანხმობის საფუძველზე.
- სკოლის ხელმძღვანელობა უფლებამოსილია უარი განუცხადოს სტუდენტს საგნიდან ამონერაზე თუ აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება სტუდენტის ინტერესებს ან საგანი წარმოადგენს მომდევნო სემესტრების საგნების პრერეკვიზიტებს.

საგნის ხელახლა გავლა

- სტუდენტის მიერ საგანში არადამაკმაყოფილებელი შეფასება არის საგნის ხელახლა გავლის საფუძველი, კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.
- საგნის საკონტაქტო საათების 33%-ის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია სრულად გაიაროს საგანი დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე.
- საგნის საკონტაქტო საათების 33%-ის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია სრულად გაიაროს საგანი კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.
- სტუდენტს შეუძლია გავლილი საგანი გაიაროს ხელმეორედ, თუ არ არის კმაყოფილი მიღებული დადებითი შეფასებით და სურს ახლიდან საგნის ჩაბარება კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.

სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის გადატანა

- სტუდენტს/დოქტორანტს უფლება აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გადაიტანოს სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვა მომდევნო აკადემიური წლისათვის, რა შემთხვევაშიც იგი ვალდებულია გადაიხადოს დიპლომის/დისერტაციის გადატანის საფასური 500 ლარის ოდენობით.
- დოკუმენტალურად დადასტურებული საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გადაიტანოს სადიპლომო ნამუშევარის დაცვა მომდევნო აკადემიური წლისათვის, რა შემთხვევაშიც ის თავისუფლდება დიპლომის გადატანის საფასურის გადახდისგან.

პლაგიატი

პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

პლაგიატის დაუშვებლობა

- პლაგიატი წარმოადგენს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყაროების ან/და მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარს წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.
- უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს ეკრძალება პლაგიატის ჩადენა, მათ შორის სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მითითებლად, აგრეთვე მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია, ფაბრიკაცია, კომპილაცია) და განადგურება. უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს ეკრძალება სხვისი შრომის ექსპლუატაცია სხვის/სხვების მიერ განეული შრომის სათანადო აღნიშვნის გარეშე.

პლაგიატის შემთხვევის თავიდან აცილების მექანიზმები

- უნივერსიტეტი პლაგიატის გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი რეგულაციების სტუდენტებისთვის გაცნობას და ხელმისაწვდომობას.
- უნივერსიტეტის აკადემიური და მონვეული პერსონალი, ასევე პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია ინფორმირებულობის დონის ამაღლების და პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებისთანავე განუმარტოს სტუდენტებს პლაგიატის მნიშვნელობა, მისი დაუშვებლობა, მისი აღმოჩენის მექანიზმები და მათზე რეაგირების პროცედურები.

პლაგიატის შემთხვევის გამოვლენის მექანიზმები

- პლაგიატის აღმოჩენის მიზნით, უნივერსიტეტში გამოიყენება შესაბამისი ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობით ხდება ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე ავტომატურ რეჟიმში.
- წინა პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული პროგრამის გარდა, პლაგიატის გამოვლენა ხორციელდება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებისა და საძიებო სისტემების გამოყენებით, ასევე დაინტერესებულ პირთა მომართვის საფუძველზე.
- უნივერსიტეტის აკადემიური ან/და მონვეული პერსონალი ვალდებულია პლაგიატის შესაძლო შემთხვევის გამოვლენისას აცნობოს აღნიშნული ფაქტის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ან/და პროგრამის ხელმძღვანელს.
- შესაბამისი სადიპლომო ან სადოქტორო კომისია რეცენზენტის ან ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე ვალდებულია პლაგიატის შესაძლო შემთხვევის გამოვლენისას აცნობოს აღნიშნული ფაქტის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ან/და პროგრამის ხელმძღვანელს.

პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები

- სტუდენტის მხრიდან სასწავლო პროცესში შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდების პერიოდში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება არადამაყოფილებელი შეფასება საგანში.
- საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის წინასწარ განხილვის/დაცვის ეტაპზე პლაგიატის ჩადენის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს/დოქტორანტს უფორმდება არადამაყოფილებელი შეფასება ნაშრომში.
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის საკვალიფიკაციო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, ხოლო დოქტორანტურის შემთხვევაში სამეცნიერო საბჭო განიხილავს მინიჭებული აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის საკითხს.
- პლაგიატის გამოვლენისას უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის, ხოლო დოქტორანტურის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, დისციპლინური კომისია (რომლის მუშაობის წესს არეგულირებს უნივერსიტეტის ქცევისა და ეთიკის კოდექსი), უფლებამოსილია გაატაროს შემდეგი სახის დისციპლინური ღონისძიება:
 - ✓ შენიშვნა;
 - ✓ საყვედური;
 - ✓ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
 - ✓ სხვა პასუხისმგებლობა.
- დისციპლინური კომისიის სხდომას სტუდენტის მხრიდან პლაგიატის გამოვლენის საკითხის განხილვისას შესაძლებელია დაესწროს და თავისი მოსაზრებები და მტკიცებულებები წარმოადგინოს ნაშრომის ავტორმა.

აკადემიური პერსონალის მხრიდან პლაგიატის ჩადენისა და მასზე რაგირების მექანიზმები

- უნივერსიტეტი უფლებამოსილია მონიტორინგი განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობაზე და რეაგირება მოახდინოს აკადემიური პერსონალის მხრიდან ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე.
- უნივერსიტეტის აკადემიური/მონწევული პერსონალის მხრიდან პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, საკითხს განიხილავს სკოლის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში აკადემიური საბჭო მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე.
- პლაგიატის ფაქტების საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში რექტორი იწვევს დისციპლინურ კომისიას, რომელიც განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას პლაგიატის ჩამდენი პირისთვის შესაბამისი სახდელის დაკისრების შესახებ.
- იმ შემთხვევაში თუ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის აამოქმედებს ყველა შესაძლო მექანიზმს პირის სამეცნიერო/პროფესიული რეპუტაციის აღსადგენად.
- აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დისციპლინური სახდელები:

- ✓ შენიშვნა;
- ✓ საყვედური;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებიდან 20%-ის დაკავება;
- ✓ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა.

კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

პირი, რომლის მიმართაც განხორციელდა დისციპლინური სახდელის დაკისრება პლაგიატის ჩადენის გამო, უფლებამოსილია კომისიის

სტუდენტთა სტიმულირების, ასევე სოციალურად მონყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, სტიპენდიებისა და ფასდაკლებების განსაზღვრის წესი

ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოქმედი ფასდაკლებები უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი ფასდაკლებები:

- ა) ფასდაკლება სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთათვის;
- ბ) სარეიტინგო ფასდაკლება სტუდენტის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე;
- გ) ფასდაკლება სხვადასხვა სოციალურად მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის;
- დ) სხვა ინდივიდუალური ფასდაკლებები.

ფასდაკლება სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთათვის

- აღნიშნული ფასდაკლება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში;
- უნივერსიტეტში ჩარიცხული ის პირველკურსელები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მოიპოვებენ სახელმწიფო დაფინანსებას, ამავდროულად უნივერსიტეტისგან მიიღებენ ერთჯერად ფასდაკლებას - 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გამოიქვითება სწავლის პირველი წლის საერთო საფასურიდან და აისახება სტუდენტთან დადებულ ხელშეკრულებასა და სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკში.

სარეიტინგო ფასდაკლება სტუდენტის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე

- აღნიშნული ფასდაკლება მოქმედებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც გასული წლის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებმა შესაძლოა მოიპოვონ სარეიტინგო ფასდაკლება.
- საუკეთესო აკადემიური მოსწრება განისაზღვრება ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ელექტრონულ სისტემაში აღრიცხული თითოეული სტუდენტის მიერ გავლილი საგნების საბოლოო ქულების, „GPA“, აქტიურობისა და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით.

- სტუდენტის წარდგინებას სარეიტინგო ფასდაკლებაზე, ფასდაკლების ოდენობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან ერთად ახორციელებს სკოლის დეკანი, სასწავლო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა. ხოლო, სტუდენტისთვის ფასდაკლების მოცულობას განსაზღვრავს რექტორი შესაბამისი ბრძანების გამოცემის საფუძველზე, არა უგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებისა.
- სარეიტინგო ფასდაკლება ვრცელდება ყოველი მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში და რექტორის ბრძანების საფუძველზე აისახება სტუდენტთან არსებულ ხელშეკრულებასა და საფასურის გადახდის გრაფიკში.
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო სასწავლო წლის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტმა, ფასდაკლება შესაძლებელია მიიღოს სკოლის დეკანის წარდგინებითა და რექტორის გადანყვეტილებით, ერთჯერადი სტიპენდიის სახით.

ფასდაკლება სხვადასხვა სოციალურად მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის აღნიშნული ფასდაკლება მოქმედებს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მე-5 მუხლის მიზნებისთვის ფასდაკლება მოქმედებს შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

- ა) სოციალურად დაუცველ პირებზე;
- ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებზე;
- გ) შებღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე;
- დ) იძულებით გადაადგილებულ პირებზე;
- ე) ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები, დეპორტირებული მესხები, ფერეიდნელი ქართველები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა;
- ვ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე;
- ზ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებზე;
- დ) მრავალშვილიანი ოჯახების წევრებზე;
- ე) ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებზე/ოჯახის წევრებზე.
 - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე, 5.2 პუნქტით გათვალისწინებულმა ყოველი ჯგუფის წევრმა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, შესაძლებელია მოიპოვოს სოციალურად მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული ფასდაკლება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

ინდივიდუალურად, სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.

- საქართველოს მოქალაქის, პირადობის ნეიტრალური მონმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებმა და უცხოეთში მცხოვრებმა თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომელთაც ჩაირიცხებიან აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ფასდაკლების მოსაპოვებლად უნივერსიტეტში სხვა სტანდარტულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტები:
- სოციალურად დაუცველმა პირებმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის უნივერსიტეტში წარმოდგენამდე არაუადრეს 2 თვისა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა - საქართველოს მოქალაქის მონმობასთან ერთად, საქართველოში ეროვნული უმცირესობების კომპაქტურად
- განსახლების მუნიციპალიტეტებში, ბოლო 5 წლის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი);
- შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირებმა - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემონმების აქტის ამონაწერი ფორმა №50/II (ასლი);
- იძულებით გადაადგილებულმა პირებმა - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მონმობა;
- ქართული ეთნიკური წარმომობის (ლაზებმა, დეპორტირებულმა მესხებმა, ფერეიდნელმა ქართველებმა და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმომობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა - პირადობის ნეიტრალური მონმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და უცხოეთში მცხოვრებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მოქალაქის მონმობა, პირადობის ნეიტრალური მონმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;
- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მრავალშვილიანი ოჯახების წევრებმა - ცნობა ან რაიმე სახის სხვა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება 5 ან მეტი დის, ძმის ან და-ძმის ყოლის ფაქტი.
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებმა/ოჯახის წევრებმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი.
- სტუდენტის წარდგინებას სოციალურად მონწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის განკუთვნილ ფასდაკლებაზე, ფასდაკლების ოდენობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან

ერთად ახორციელებს სკოლის დეკანი, აპლიკაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის სკოლაში შეტანიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა. ხოლო, ფასდაკლების ოდენობას განსაზღვრავს რექტორი შესაბამისი ბრძანების გამოცემის საფუძველზე, არა უგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებისა.

- უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და შესაბამისი ფასდაკლების მოპოვების მიზნით, აპლიკანტმა უნდა გაიაროს საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი პროცედურები (ტესტირება, გასაუბრება და ა.შ.) ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სხვა ინდივიდუალური ფასდაკლებები

- სხვა ინდივიდუალური ფასდაკლება შესაძლოა გავრცელდეს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა პროგრამაზე.
- ფასდაკლება შესაძლებელია გავრცელდეს:

- ა) უნივერსიტეტის თანამშრომლის ოჯახის წევრებზე;
- ბ) უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებზე;
- გ) დებზე, ძმებზე ან და-ძმებზე უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში;
- დ) სხვა ცალკეულ შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილებით.

- ამ მუხლით გათვალისწინებული ფასდაკლების მოცულობა არ აღემატება 10%-ს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა რომელსაც იხილავს და შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
- სტუდენტის წარდგინებას მე-6 მუხლით განსაზღვრულ ფასდაკლებაზე ახორციელებს სკოლის დეკანი. ხოლო, ფასდაკლების მიღებას და განსაკუთრებულ შემთხვევებში ფასდაკლების ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი ბრძანების გამოცემის საფუძველზე.

სტუდენტური ელექტრონული ბაზის გამოყენების წესები/ინსტრუქცია

ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ შექმნილია ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა - LMB.GIPA.GE -ს სახით (შემდგომში - მონაცემთა ბაზა);

ეს წესი განსაზღვრავს მონაცემთა ბაზის შემადგენლობას, საგანმანათლებლო პროცესის ელექტრონული მართვის პრინციპებს, მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებისა და წვდომაზე უფლებამოსილ პირებს და მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებისა და მასზე წვდომასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

მონაცემთა ბაზის სტრუქტურა

- მონაცემთა ბაზაში გაერთიანებულია რამდენიმე მოდული შემდეგი მომხმარებლებისთვის:
- სტუდენტები;
- ლექტორები;

- პროგრამის კოორდინატორები და ხელმძღვანელები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

მონაცემთა ბაზის სტუდენტის მოდული

- მონაცემთა ბაზის სტუდენტის მოდული ითვალისწინებს თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდის არსებობას, სადაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, ქონდეს წვდომა ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსზე და განახორციელოს აქტივობები შემდეგი მიმართულებებით:
- ისარგებლოს თითოეული საგნის ლექტორთან ელექტრონული კომუნიკაციით, მათ შორის მიიღოს დავალებები, მასალა, ლექტორის კონსულტაცია, გააგზავნოს შესრულებული დავალება, შეკითხვები და ა.შ.;
- ისარგებლოს ელექტრონული ბიბლიოთეკით, სადაც შეუძლებლად აქვს წვდომა ყველა იმ მასალასთან, რომელიც განსაზღვრულია მისი პროგრამის კურიკულუმის თითოეულ სილაბუსში;
- მიიღოს ინფორმაცია იმ სამეცნიერო რესურსებისა და მონაცემთა ბაზების რომელსაც უნივერსიტეტს აქვს წვდომა;
- მიიღოს ინფორმაცია სასწავლო ცხრილის, განვლილი საგნების, სტუდენტური რეიტინგების, დაგეგმილი ღონისძიებებისა და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობების შესახებ;
- ქონდეს წვდომა მის მიერ გავლილი საგნების შეფასებებთან (მათ შორის სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით), სილაბუსებთან, ლექტორის მიერ მიწოდებულ მასალებთან და სწავლის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან;
- ქონდეს წვდომა უნივერსიტეტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან, სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკთან და ფინანსური ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასთან.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი

სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის მიზანია უნივერსიტეტში სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, რასაც ცენტრი ახორციელებს საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;
- სტუდენტთა მხარდაჭერა კარიერული განვითარების მიმართულებით;
- სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;

ინფორმაცია

ცენტრი საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის სკოლების პერსონალის მათ შორის კოორდინატორებისა და ხარისხის მართვის მენეჯერების ჩართულობით, საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ცენტრის საქმიანობაში, ასევე მონაწილეობენ სტუდენტები, ან სტუდენტური გაერთიანებები, რომლებიც სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მჭიდროდ თანამშრომლობენ ცენტრთან, მონაწილეობენ სტუდენტთა უფლებების უკეთ დაცვის უზრუნველყოფაში, მათი საჭიროებების გამოვლენასა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების დაგეგმვასა და წარმართვაში.

ღონისძიებები და აქტივობები

სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ცენტრი კოორდინაციას უწევს შემდეგი საქმიანობების განხორციელებას:

- სტუდენტებისათვის პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში განათლების მიღების, სემესტრის გავლის ან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა;
- სტუდენტების ინფორმირება ვაკანსიების, სტაჟირებების და სხვა კარიერული შესაძლებლობების შესახებ (უნივერსიტეტში არსებული საკომუნიკაციო საშუალება Career@gipa.ge და სხვა საშუალებებით);
- ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ შესაბამისი კონსულტაციების გაწევა, როგორცაა: გასაუბრებებზე გასვლა, შესაბამისი საბუთების, CV-ს, ავტობიოგრაფიის, სამოტივაციო წერილის, რეკომენდაციის და სხვა დოკუმენტების მომზადება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებისა და დასაქმების მხარდასაჭერად, საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება;
- უნივერსიტეტში დამსაქმებელთა ბაზის წარმოება, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი აწარმოებს ორმხრივ კომუნიკაციას პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- შრომის ბაზრის კვლევაში მონაწილეობა, რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების განსაზღვრა და საჭიროების მიხედვით, დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესება, მოცემულ შედეგებზე დაყრდნობით აკადემიური პროცესის დახვეწა და შესაბამისი კადრების მომზადება;
- კურსდამთავრებულთათვის განკუთვნილი სპეციალური ტრენინგების ორგანიზებაში მონაწილეობა (Alumni Upgrading Courses), რაც კურსდამთავრებულებს კარიერული განვითარების ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს.

მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით ცენტრი გეგმავს და ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- სტუდენტური სპორტული ღონისძიებები: სათხილამურო, საფეხბურთო, საკალათბურთო და სხვა ტურნირები;
- უნივერსიტეტის გარე სტუდენტური აქტივობები;
- სტუდენტური შემეცნებითი ღონისძიებები;
- სტუდენტების მიერ ინიცირებული სხვადასხვა საქველმოქმედო და სოციალური ღონისძიებები, ასევე, სტუდენტების ინიციატივით განხორციელებული პროექტები;
- სტუდენტური წარმატებების ამსახველი საერთაშორისო ღონისძიებები;
- სტუდენტური კვალიფიკაციის განმავითარებელი პროექტები;
- სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფისათვის ცენტრი მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტურ კონფერენციებში.

ცენტრი ასევე უზრუნველყოფს და კოორდინაციას უწევს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე ახლადჩარიცხული სტუდენტებისთვის საორიენტაციო/გაცნობითი შეხვედრების ორგანიზებას;

ბიბლიოთეკა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი შედგება ხუთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისგან: მმართველობის სკოლა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (მისამართი: იეთიმ გურჯის #7ბ), ჟურნალისტიკის სკოლა (ბროსეს ქ. #2), სამართლისა და პოლიტიკის სკოლა (ბროსეს ქ. #1), სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (გორგასლის #101). თითოეულ მისამართზე განთავსებულია თემატური ბიბლიოთეკები, რომლებშიც დაცულია შესაბამისი სკოლისა და პროგრამის თემატური საკითხავი ეგზემპლარები.

ყველა სკოლას გამოყოფილი ყავს ბიბლიოთეკარი:

მმართველობის სკოლა

ვანო ცერცვაძე

Tel: +995599449850

Email: v.tsertsvadze@gipa.ge

ლევან ყურაშვილი

Tel: +995574132607

Email: levan.kurashvili@gipa.ge

ჟურნალისტიკის სკოლა

ლევან კურცხალია

Tel: +995591656505

Email: levan.kurtskhalia@gipa.ge

სამართლისა და პოლიტიკის სკოლა

Tel: +995555257752

Email: a.kiria@gipa.ge

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ანა ჩუთლაშვილი

Tel: +995598935556

Email: a.chutlashvili@gipa.ge

შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

კინი ხარაბაძე

Tel: +995595507222

Email: k.kharabadze@gipa.ge

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მონვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development

Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier).

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს lmb ელექტრონული კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

ძიება შესაძლებელია: 1. საძიებო ველის დახმარებით, რომელშიც იწერება საკვანძო სიტყვა ავტორის, სათაურის ან თემატიკის მიხედვით.

როგორ ვისარგებლოთ ბიბლიოთეკით

GIPA-ს სტუდენტს სასწავლო პროგრამის კოორდინატორის მიერ გადაეცემა ბიბლიოთეკის ვებ რესურსებზე წვდომისათვის აუცილებელი მონაცემები (სამომხმარებლო სახელი და პაროლი), რომელსაც სტუდენტები გამოიყენებენ როგორც LMB ბაზაში (სტუდენტების მართვის სისტემა), ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონულ სისტემაში მუშაობისთვის. ბიბლიოთეკის ვებ-პორტალის გამოყენების პრაქტიკაში ჩვენება ხდება სასწავლო წლის დასაწყისში საორიენტაციო შეხვედრის დროს.

ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00-დან 19:00-მდე, ხოლო შაბათს 11:00-დან 15:00-მდე.

ბიბლიოთეკის მდებარეობა და სამკითხველო დარბაზები

GIPA-ს ყველა კამპუსში არსებობს ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი სივრცე, სადაც განთავსებულია შესაბამისი დარგობრივი ლიტერატურა. ყველა კამპუსი მდებარეობს თბილისში და მათი მისამართებია: იეთიმ გურჯის 7ბ, გორგასალის 101, ბროსეს 1 და ბროსეს 2. სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს როგორც ცალკეულ, ასევე ყველა კამპუსში დაცული წიგნადი ფონდითა თუ სხვა სამკითხველო რესურსით.

წიგნადი ფონდი და სხვა რესურსი

ბიბლიოთეკაში დაცულია რამდენიმე ტიპის სამკითხველო რესურსი:

- ფიზიკური რესურსი
- წიგნები
- პერიოდიკა
- ლექსიკონები
- რიდერები (სალექციო კურსები)
- ციფრული წიგნები

ყველა ტიპის რესურსის ძიება შესაძლებელია როგორც მითითებულ მისამართებზე, ასევე ნებისმიერი ადგილიდან ინტერნეტში ჩართული მონაცემების მეშვეობით.

წიგნებით სარგებლობა

ბიბლიოთეკაში დაცული რესურსების მოძებნა/გამოყენება/დაჯავშნა ხდება ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის საშუალებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე www.library.gipa.ge.

სასურველი წიგნის მოსაძებნად სტუდენტი უნდა შევიდეს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე საკუთარი სამომხმარებლო სახელითა და პაროლით, საძიებო ველში მიუთითოს სასურველი თემატიკა ან წიგნის სათაური (მთლიანად ან ნაწილობრივ), ან ავტორი.

ძიების შედეგად სტუდენტი დაინახავს ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მის მიერ განსაზღვრულ ძიების კრიტერიუმებს.

ფიზიკური რესურსის შემთხვევაში, თითოეული რესურსის გასწვრივ მითითებული იქნება წიგნის შესაბამისი ატრიბუტიკა და ასევე ადგილმდებარეობა თაროზე.

გარდა ამისა შესაძლებელია წიგნს გააჩნდეს ელექტრონული ვერსია, რომლის ლინკიც ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ასევე გამოჩნდება წიგნის სათაურის ქვემოთ.

ციფრული რესურსის შემთხვევაში თაროს ნომერი აღარ იქნება მითითებული და გამოჩნდება ის მისამართი, რომელზედაც რესურსის ნახვა/ჩამოტვირთვაა შესაძლებელი.

მოძებნილი ფიზიკური რესურსის მისაღებად სტუდენტმა უნდა დაჯავშნოს სასურველი რესურსი დაჯავშნის ბმულზე დაჭერით ან პირადად მიმართოს ბიბლიოთეკარს შესაბამის მისამართზე. დაჯავშნის შემდეგ, წიგნის გასატანად სტუდენტი მიმართავს კონკრეტული ბიბლიოთეკის წარმომადგენელს.

ბიბლიოთეკაში დაცული ფიზიკური რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც ადგილზე გამოყენების ასევე ბიბლიოთეკიდან გატანის მეშვეობით. ფიზიკური ფორმატის გატანა შესაძლებელი მოხდება შემდეგი ვადებით:

ფიზიკური რესურსი გატანის ვადა

მხატვრული ლიტერატურა 2 თვე

სახელმძღვანელო (იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკაში არსებული ეგზემპლარი აღემატება 1-ს) 1 სემესტრი;

რიდერი 1 სემესტრი;

სხვა კატეგორიის წიგნი 14-30 დღე.

სტუდენტს შეუძლია ერთდროულად გაიტანოს მაქსიმუმ 15 წიგნი და ვალდებულია დათქმულ ვადაში დააბრუნოს მის დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთი/ები.

ციფრული რესურსის შემთხვევაში დაჯავშნა საჭირო არ არის, სტუდენტს შეუძლია ამ რესურსის გამოყენება.

ბიბლიოთეკაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ქსელში ჩართული კომპიუტერით, საბეჭდი და ასლგადამღები მოწყობილობით, მოახდინონ ასლების გადაღება, სკანირება და ამობეჭდვა.

სტუდენტის განკარგულებაშია ბიბლიოთეკებში შექმნილი სამკითხველო სივრცეები, სადაც მას შეუძლია მყუდრო გარემოში გაეცნოს მისთვის სასურველ ლიტერატურას.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევა

ბიბლიოთეკით სარგებლობის დარღვევაში იგულისხმება წიგნის მოხმარების წესის დარღვევა. წიგნის დაბრუნების ვადების გადაცილების შემთხვევაში, თითო გადაცდენილ დღეზე სტუდენტს დაერიცხება საურავი შემდეგი ფორმულით: გატანილი წიგნი რაოდენობა გამრავლებული გადაცდენილ დღეების რაოდენობაზე და გამრავლებული ერთ ლარზე.

სტუდენტები ვალდებულია მოუფრთხილდეს წიგნს და არ დააზიანოს იგი. დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში იგი ვალდებულია ბიბლიოთეკას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, ან იგივე წიგნის ახალი ეგზემპლარის ჩანაცვლებით ან წიგნის საბაზრო ღირებულების 5-მაგი ოდენობის დაფარვის გზით.

კალენდარი

შემოდგომის სემესტრი (ბაკალავრიატი)						
სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:	საგამოცდო პერიოდი	არდადეგები:	შენიშვნა
10.09.2018	28.12.2018	1 სემესტრი - 20 კვირა: 16 კვირა სასწავლო + 4 კვირა საგამოცდო პერიოდი 01.02.2019	30.12.2018 - 07.01.2019 საშობაო არდადეგები	08.01.2019 - 01.02.2019	02.02.2019 - 17.02.2019	20 სასწავლო კვირა
გზაფხულის სემესტრი (ბაკალავრიატი)						
სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:	საგამოცდო პერიოდი	არდადეგები:	შენიშვნა

18.02.2019	14.06.2019	II სემესტრი 20 კვირა: 16 კვირა სასწავლო + 4 კვირა საგამოცდო პერიოდი 13.07.2018	26.04.2019 - 06.05.2019 სააღდგომო არდადეგები	17.06.2019 - 12.07.2019	13.07.2018 - 09.09.2019 საზაფხულო არდადეგები	20 სასწავლო კვირა
------------	------------	---	---	-------------------------	---	-------------------

შემოდგომის სემესტრი (მაგისტრატურა, გარდა მოდულური სწავლებისა)

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:	შენიშვნა
10.09.2018	28.12.2018	16 სასწავლო კვირა (სემესტრი დასრულდა 28.12.2018)	29.12.2018-13.01.2019 საშობაო არდადეგები	16 სასწავლო კვირა

გაზაფხულის სემესტრი (მაგისტრატურა, გარდა მოდულური სწავლებისა)

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:	შენიშვნა
14.01.2019	12.07.2019	26 სასწავლო კვირა (სემესტრი დასრულდა 12.07.2019)	13.07.2019 - 09.09.2019 საზაფხულო არდადეგები	26 სასწავლო კვირა

შემოდგომის სემესტრი (მაგისტრატურა - მულტიმედია ჟურნალისტიკა და მედია მენეჯმენტი)

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	საგამოცდო პერიოდი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:
17.09.2018	28.12.2018	14.01.2019 - 18.02.2019	16 სასწავლო კვირა (სემესტრი დასრულდა 19.01.2019)	29.12.2018-13.01.2019 საშობაო არდადეგები

გაზაფხულის სემესტრი (მაგისტრატურა - მულტიმედია ჟურნალისტიკა და მედია მენეჯმენტი)

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:	შენიშვნა

21.01.2019	26.07.2019	26 სასწავლო კვირა (სემესტრი დასრულდა 26.07.2019)	13.05.2019 - 19.05.2019 საგაზაფხულო არდადეგები 27.07.2019 - 09.09.2019 საზაფხულო არდადეგები	26 სასწავლო კვირა
------------	------------	--	--	-------------------

შემოდგომის სემესტრი (დოქტორანტურა)

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:	შენიშვნა
01.10.2018	28.12.2018	13 სასწავლო კვირა (სემესტრი დასრულდა 28.12.2018)	29.12.2018-13.01.2019 საშობაო არდადეგები	13 სასწავლო კვირა

გაზაფხულის სემესტრი (დოქტორანტურა)

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	სასწავლო კვირების რაოდენობა	არდადეგები:	შენიშვნა
14.01.2019	19.07.2019	26 სასწავლო კვირა (სემესტრი დასრულდა 19.07.2019)	20.07.2019 - 09.09.2019 საზაფხულო არდადეგები	27 სასწავლო კვირა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები"

სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი	სასწავლო პროცესის დასრულების თარიღი	არდადეგები:	არდადეგები:	შენიშვნა
10.09.2018	05.07.2019	30.12.2018- 20.01.2019 ზამთრის არდადეგები	06.07.2019 - 09.09.2019 საზაფხულო არდადეგები	40 სასწავლო კვირა

საბანკო ანგარიში

საბანკო კოდი (მთო) – 220101850

მიმღების დასახელება - ააიპ „ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი “

ანგარიშსწორების ანგარიში - GE84TB1100000110700419 / GEL

კონტაქტი

მმართველობის სკოლა

მის: იეთიმ გურჯის 9

Tel: 2497500

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - დავით ახვლედიანი

Tel: +995577921796

Email: d.akhvlediani@gipa.ge

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - ცირა ელისაშვილი

Tel: +995599706377

Email: ts.elisashvili@gipa.ge

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - ცირა ელისაშვილი

Tel: +995599706377

Email: ts.elisashvili@gipa.ge

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - სალომე ჟორჯოლიანი

Tel: +995596999997

Email: s.jorjoliani@gipa.ge

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი - ვანო ცერცვაძე

Tel: +995599449850

Email: v.tsertsvadze@gipa.ge

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი - ლევან ყურაშვილი

Tel: +995574132607

Email: levan.kurashvili@gipa.ge

გარემოს დაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - ლაშა ლობჯანიძე

Tel: +995599872784

Email: lasha.lobjanidze@gipa.ge

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

მის: გორგასლის 101

Tel: 2497545

სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორი - ანა ჩუთლაშვილი

Tel:+995598935556

Email: a.chutlashvili@gipa.ge

ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორი - თედო სანიკიძე

Tel: +995598239540

Email: tedo.sanikidze@gipa.ge

სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი - თინათინ კახიანი

Tel: +995595906494

Email: t.kakhiani@gipa.ge

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - მარინა კვიციანიძე

Tel: +995595959096

Email: m.kvitsaridze@gipa.ge

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა

მის: ბროსეს 2

Tel: 2497501

მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - სალომე გველესიანი

Tel: +995595543442

Email: s.gvelesiani@gipa.ge

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - მაკა სეხნიაშვილი

Tel: +995577571816

Email: m.sekhniashvili@gipa.ge

მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - შოთა იორამაშვილი

Tel: +995555204080

Email: sh.ioramashvili@gipa.ge

აუდიო-ვიზუალურ და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი -
ნინო ლიპარტელიანი

Tel: +995551975475

Email: n.liparteliani@gipa.ge

ცუფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი - თეკლა
დავითულიანი

Tel: +598184146

Email: tekla.davituliani@gipa.ge

სამართლისა და პოლიტიკის სკოლა

მის: ბროსეს 1

Tel: 2497502

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი - ანა ქირია

Tel: +995555257752

Email: a.kiria@gipa.ge

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი - ზვიად
ბარქაია

Tel: +995598389538

Email: z.barkaia@gipa.ge

სამართლის და პოლიტიკის სკოლის კოორდინატორი - ირინა ბაქრაძე

Tel: +995595582260

Email: i.bakradze@gipa.ge

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - ხატია გოგილაშვილი

Tel: +995595797252

Email: khatia.gogilashvili@gipa.ge

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი - გიორგი ჩადუნელი

Tel: +995599107333

Email: g.chaduneli@gipa.ge

პროფესიული პროგრამა

შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის კოორდინატორი - ნესტან ინასარიძე

Tel: +995599718400

Email: n.inasaridze@gipa.ge

სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი - ნათია ჭიღვარია

Tel:+995595659556

Email: n.tchigvaria@gipa.ge

სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი

კინი ხარაბაძე

Tel:+995595507222

Email: k.kharabadze@gipa.ge

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

ნიკა ბაქრაძე

Tel:+995577577511

Email: n.bakradze@gipa.ge